

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის - „მერმისი“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს და ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კოლეჯი - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“.

ბ) პროფესიული სტუდენტი - შემდგომში სტუდენტი.

გ) აპლიკანტი - პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს ან/და რომელიც პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“ დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევისწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი.

ვ) კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ზ) პროფესიული კვალიფიკაცია - პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით;

თ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება - კოლეჯისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით გათავისუფლება, რაც არ გულისხმობს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.

ი) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება, რაც გულისხმობს სტუდენტთა სახელობითი სიიდან მის ამოღებას.

კ) გარე მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევა.

ლ) შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულებისაგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევა.

მ) ინკლუზიური განათლება - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. აპლიკანტს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარების და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლება.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე.

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, უზრუნველყოფს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე.

2.3. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტი ვალდებულია ტესტირების ჩაბარებამდე გაიაროს კონკურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით და მონაწილეობა მიიღოს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში. აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხურის ტესტირების (რომლის ფორმას და შინაარსს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით) შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურებზე.

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხურის ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს კოლეჯი, დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად;

3.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხურის ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგენილ დამატებით მოთხოვნებს და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) რეგისტრაცია;

ბ) ექპერტთა გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ფუნქციური და აკადემიური უნარების შეფასება;

გ) ტესტირება;

დ) დაწესებულებაში ჩარიცხვა.

4.1. სსსმ აპლიკანტთა ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება აპლიკანტს წარმოეშობა ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე.

4.2. სსსმ აპლიკანტთა ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას;

4.3. სსსმ აპლიკანტთა ტესტირება მოიცავს მათ მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.

5. კოლეჯის დირექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ 27-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ შინაგანაწესის 45-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 2 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ.

6. კოლეჯი მონაცემებს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

7. სტატუსის (მსმენელის) მოპოვების საფუძველია ასევე კოლეჯის ტრენინგ-კურსებზე სწავლის მსურველი პირის ჩარიცხვა, რასაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.

8. სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ წესში დეტალურად რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“.

მუხლი 2¹. დაწესებულებაში ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცა

1. კოლეჯის დირექტორი პროფესიული ტესტირების დაწყებამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) პირადი (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) აპლიკანტის არასრულწლოვნების შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) 2 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის) მოთხოვნის შესაბამისად საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი), რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო (სრული) ზოგადი განათლების მიღების გარეშე.

ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების 37-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები (სსსმ აპლიკანტის შემთხვევაში).

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა წარმოდგენილ უნდა იქნას პირველადი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული დიპლომის დედანი (პროფესიული დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

4. უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე პირის (აპლიკანტმა) მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა წარმოდგენილ უნდა იქნას უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ (დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

5. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოდგენლობა შესაძლებელია გახდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვაზე უარის თქმის მიზეზი.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;

ბ) ორსულობა, მშობიარობა;

გ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა - სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ე) სამხედრო სამსახურში გაწვევა;

ვ) სხვა არსებითი გარემოება.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია დასაბუთებული წერილობითი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) მიმართოს კოლეჯის დირექტორს და ითხოვოს სტუდენტის სტატუსის შეჩერება კონკრეტული ვადით.

2.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 2 წლის გასვლის შემდეგ პროფესიულ სტუდენტს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შეუწყდება ვაუჩერული დაფინანსება.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან რა ეტაპზედაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუს შეჩერებული პირი/კანონიერი წარმომადგენელი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ წერილობით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.

6. პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
7. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა სტუდენტის სტატუს შეჩერებულ პირად.

მუხლი 4 . პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
- ა) სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
 - ბ) პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;
 - გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა.
 - დ) იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძველად დაედო სტუდენტის სტატუსის მოპოვებას;
 - ე) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
 - ვ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;
 - ზ) გარდაცვალება;
 - თ) სწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაგრძელება;
 - ი) მეცადინეობების არასაკმარისი მიზეზით ზედიზედ 10 (ათი) სამუშაო (სასწავლო) დღის ოდენობით გაცდენა.
 - კ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 30 პროცენტზე მეტის გაცდენა;
 - ლ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება;
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (გარდა „ა“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძველისა) რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით), მის მიერ დაგროვილი გაცდენილი დღეების გამო მოსალოდნელი შედეგების შესახებ.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისაგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს დავალიანება.
6. ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 5. მობილობა

1. სტუდენტთა მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
2. კოლეჯის დირექტორის მოადგილე დირექტორს წარუდგენს წინადადებას მობილობით სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრაზე, იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია სტუდენტთა მიღება. სტუდენტების მიღებისათვის თავისუფალი ადგილების რაოდენობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
3. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული სტუდენტს, რომლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის დროისათვის წარმოადგენს კოლეჯის ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სხვა დაწესებულების სტუდენტს, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას სტუდენტის სტატუსი.

4. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში შეიტანოს განცხადება მობილობის შესახებ, აგრეთვე წარადგინოს სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) შესახებ.
5. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.
6. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იმავე პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში, ასევე ერთი და იმავე მიმართულების სხვადასხვა პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში;
8. შიდა მობილობა შეიძლება განხორციელდეს ერთი და იმავე მიმართულების სხვადასხვა პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში;
9. ერთი და იმავე პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე.
10. ერთი და იმავე მიმართულების სხვადასხვა პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში მობილობის შემთხვევაში სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.
11. პროფესიული სტუდენტის მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით “პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე”.
12. კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:
 - ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და კოლეჯს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;
 - ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
 - გ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
10. მობილობა დასაშვებია თუ არსებობს შემდეგი პირობების ერთობლიობა:
 - ა) დაცულია ამ მუხლით დადგენილი მობილობის ვადები;
 - ბ) არსებობს ადგილი იმ ჯგუფში, სადაც იგეგმება სტუდენტის მობილობის წესით გადაყვანა;
 - გ) მობილობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
 - დ) მობილობა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
11. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯი.
12. სტუდენტის მობილობით გადაყვანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. მიღებული განათლების აღიარება

1. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. მიღებული განათლების აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარების გზით, რაც გამოიხატება მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით და შესაბამისი კრედიტების მინიჭებით.
3. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებას კოლეჯი ახორციელებს შემდეგ შემთხვევაში:
 - ა) პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/ მოდიფიცირების შემთხვევაში.
4. წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ადგენს სტუდენტის მიერ სხვა ავტორიზებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტებისა და სწავლების შედეგების თავსებადობას კოლეჯის იმ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რაზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ოქმის სახით წარუდგენს კოლეჯის დირექციას.
5. შინაარსობრივი შესწავლის და სწავლის შედეგების შედარების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ განვლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შესაბამისობა მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
6. პროფესიული სტუდენტის მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასა და შესაბამისი კრედიტების მინიჭების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება აღიარების კომისია.
7. კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების აღიარების და შესაბამისი კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით ფორმდება კომისიის ოქმით, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
8. პროგრამის კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები სტუდენტის მიერ გავლილ პროგრამასა და კოლეჯის პროგრამას შორის.
9. პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების აღიარების და შესაბამისი კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის

ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 8. სწავლის ხანგრძლივობა

1. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობით.

2. მსმენელთა სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი ტრენინგ - კურსის (მოკლევადიანი პროგრამა) ხანგრძლივობით.

3. სწავლის პერიოდი შესაძლებელია გახანგრძლივდეს, თუ:

ა) პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა;

გ) ადგილი აქვს სხვა ობიექტურ გარემოებას.

მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასების წესი

1. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

2. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

3. პროფესიული სტუდენტის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასება ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ; შუალედური შეფასებების რაოდენობა, ჩატარების დრო და მეთოდი განისაზღვრება ინდივიდუალურად სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. დასკვნითი გამოცდის ჩატარების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია შეიქმნას საგამოცდო კომისია. გამოცდების გრაფიკი და მის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ.

4. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) შუალედური შეფასება - 70 ქულა;

ბ) დასკვნითი შეფასება - 30 ქულა.

5. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

6. პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას ეძლევა საშუალება საგნის პედაგოგთან შეთანხმებულ დროს გამოცხადდეს შუალედურ შეფასებაზე განმეორებით.

7. სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში მას კიდევ ერთხელ არანაკლებ 10 დღის შემდეგ, ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.

7¹. დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს წერილობით მიმართოს კოლეჯის დირექციას დამატებითი გამოცდის დანიშვნის თხოვნით.

8. დასკვნითი და დამატებითი გამოცდა ინიშნება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სასწავლო პროცესის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

2. მოდულში „პრაქტიკული პროექტი“ პროფესიული სტუდენტი ფასდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ, რომლის ერთ-ერთ წევრად შეიძლება განისაზღვროს დამსაქმებელი.

3. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

4. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

5. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

6. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

7. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ.

8. პროფესიული სტუდენტის/ სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.

9. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სსსმ პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

10. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

11. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. შეფასების მტკიცებულებები, რომლებიც შეფასების უწყისის საფუძველია, შენახული უნდა იქნას კვალიფიკაციის მინიჭებამდე.

12. აუცილებელი არაა ყველა სწავლის შედეგი ცალ-ცალკე შეფასდეს. შესაძლებელია შეფასდეს რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად ან ყველა ერთად - მოდულის ბოლოს. აღნიშნული უნდა აღიწეროს მოდულის მტკიცებულებების შეგროვების ნაწილში.

მუხლი 10¹. პროფესიული სტუდენტის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების პროცედურა

1. მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების უფლებით;

2. მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების მიზნით, პროფესიული სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შეფასების/შედეგის დადასტურების გაცნობიდან 3 სამუშაო დღს ვადაში და ითხოვს მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გადასინჯვას;

3. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს სტუდენტის ნაშრომის განხილვას პროფესიული მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით;

4. განხილვის შედეგებს შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად ხარისხის მართვის მენეჯერი წერილობით წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;

5. კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ მასალებს უგზავნის სასწავლო პროცესის მენეჯერს საჭირო ღონისძიებების გატარების მიზნით.

მუხლი 11. კვალიფიკაციის მინიჭება

1. კონკრეტული საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი.

2. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ სასწავლო კურსში შეადგენს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 51%-ს.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები (ყველა ზოგადი სავალდებულო და პროფესიული სავალდებულო მოდულებით განსაზღვრული კრედიტების მიღებით).

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა

რეალურ სამუშაო გარემოში, პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

5. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსებში/მოდულებში მიღებული შედეგების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზე დგება კომისიის ოქმი.

მუხლი 12. ლექციები/ პრაქტიკული მეცადინეობები

1. ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით.

2. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში.

3. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით და სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

4. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელსაც ითანხმებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე და ბეჭდით ამოწმებს კოლეჯის დირექტორი.

5. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილის ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;

6. კოლეჯში დაწესებულია ხუთ დღიანი სასწავლო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შაბათი და კვირა, როგორც სასწავლო დღე.

7. სწავლის დაწყების დრო განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ბრძანებით. ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი, შესვენება 10 წუთი).

8. პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის მიზნით კოლეჯში მოქმედებს აღრიცხვიანობისა და შეფასების ელექტრონული ჟურნალი. სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის მატერიალური ჟურნალის არსებობის შემთხვევაში, ჟურნალი ინახება სამასწავლებლოში. ჟურნალს მეცადინეობის დაწყებამდე იღებს შესაბამისი საგნის/მოდულის პედაგოგი, რომელიც აწარმოებს სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვას. ჟურნალის (ელექტრონული/მატერიალური) მეთვალყურეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება კოლეჯის შესაბამის პასუხისმგებელ თანამშრომელს (სასწავლო პროცესის მენეჯერს).

9. პროფესიულ სტუდენტთა სწავლისა და დასვენების დრო განისაზღვრება ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილით.

10. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში.

11. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კოლეჯის შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი 9ა და ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს იმავე ან სხვა ადგილას.

მუხლი 13. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1. კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.